

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2023 წლის 8 თებერვალი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 20.11.2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016257) დანართში „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დანართის მე-10 მუხლის მეოთხე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ა“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტები:

„გ.ა) ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება;

გ.ბ) მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილება;“

2. მე-11 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„3. ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, მუნიციპალური პროგრამების პროექტების შემუშავება და დამტკიცებული დოკუმენტების განხორციელების კოორდინაცია; მუნიციპალიტეტის ქონების აღწერა და მართვა; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების და საჭიროებების განსაზღვრა; წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება ეკონომიკური განვითარების მიზნით; ინვესტიციების დაგეგმვა; ინვესტორებთან თანამშრომლობა, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე; წინადადების მომზადება მუნიციპალური პროექტების განხორციელების მიზნით, კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით; მუნიციპალური პროექტების განხორციელების მიზნით დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების წარმართვა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 15 თებერვლიდან.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

